PUBLIC PHARMA FOR EUROPE

კოალიცია „საჯარო ფარმაცია ევროპისთვის“ : წინ გადადგმული ნაბიჯი ყველა ადამიანის ჯანმრთელობისთვის

[გამოქვეყნებულია 16 ოქტომბერს, 2024]

მსოფლიოში მილიარდობით ადამიანს ხელი არ მიუწვდება მედიკამანტებზე, ვაქცინებზე და სხვა სამედიცინო ტექნოლოგიებზე. მიუხედავად სახელმწიფოს დიდი წვლილისა, მედიკამენტების წარმოება, მეტწილად, მაინც კერძო სექტორის, კერძოდ კი - „ დიდი ფარმა“-ს სახელწოდებით ცნობილი ტრანსნაციონალური კორპორაციების კონტროლს ექვემდებარება.

კოალიცია „საჯარო ფარმაცია ევროპისთვის“ (PPfE) შეიქმნა, რათა ხელი შეუწყოს ცვლილებებს ევროპაში. მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია ადვოკატირებს და მხარს უჭერს სახელმწიფოს როლსა და პასუხისმგებლობას საჯარო ფარმაციის ინფრასტრუქტურის, პოლიტიკისა და მართვის მექანიზმების დანერგვაში, ზრდასა და განვითარებაში.

ჯგუფი, რომლის მიზანიც ჯანმრთელობის უფლების მსოფლიოში მასშტაბით პოპულარიზაციაა, მოიცავს მრავალ კავშირს, სოციალურ მოძრაობას, სამოქალაქო საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციას, პაციენტს, მეცნიერს, აქტივისტსა და აკადემიკოსს. ჯგუფი დაფუძნებულია ევროპაში, თუმცა თანამშრომლობს ისეთ გლობალური სოლიდარობის ქსელებთან, რომლებიც „საჯარო ფარმაციის“ საკითხებზე მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მუშაობენ. საქმიანობაში ჩართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (CSOs) შორის არის Abundance (გაერთიანებული სამეფო), BUKO Pharma-Kampagne (გერმანია), გლობალური ინიციატივა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებისთვის (GI-ESCR) (საერთაშორისო), Health Action International (HAI) (ჰოლანდია), Medico International (გერმანია), მედიკოსები ხალხისთვის (MPLP/GVHV) (ბელგია), ორგანიზაცია მშრომელთა ინიციატივისა და დემოკრატიზაციისთვის (BRID) (ხორვატია), სახალხო ჯანმრთელობის მოძრაობა (PHM) (ევროპა), სახალხო მედიცინის ალიანსი (PMA) (საერთაშორისო), ფარმაცევტული ანგარიშვალდებულების ფონდი (ნიდერლანდები), Pharma für Alle (შვეიცარია), Salud por Derecho (ესპანეთი) და Viva Salud (ბელგია).

კოალიციის მთავარი საყრდენი არგუმენტია, რომ არსებულ, მოგებაზე ორიენტირებულ ფარმაცევტულ მოდელს არა ერთი ხარვეზი აქვს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ჯანმრთელობის უფლებაზე გლობალურ ხელმისაწვდომობას. ხსენებული ხარვეზები განაპირობებს ინოვაციის ნაკლებობას, საჯარო რესურსების პრივატიზაციას, ჯანდაცვისთვის აუცილებელი ტექნოლოგიების სიმცირეს, მედიკამენტებზე გადაჭარბებულ ფასებს, მიკერძოებულ კლინიკურ კვლევებს და არამიზნობრივად დანიშნულ მედიკამენტებს. ყოველივე ეს კი აღრმავებს გლობალურ ჩრდილოეთსა და გლობალურ სამხრეთს შორის ისედაც არსებულ დაძაბულობას და უთანასწორობას.

მართალია კოალიცია ცნობს, რომ კოვიდ-პანდემიამ ძლიერ დაამძიმა მდგომარეობა, მაგრამ მნიშვნელოვანია ისიც ვაღიაროთ, რომ საჯარო ჯანდაცვის სისტემის მკვეთრი გაუარესება ხანგრძლივი სისტემური და სტრუქტურული პრობლემების შედეგია, რომელიც ათწლეულების განმავლობაში უარყოფითად მოქმედებდა მასზე. შესაბამისად, კოალიცია თვლის, რომ საჯარო ფარმაციის დანერგვაში, ზრდასა და განვითარებაში სახელმწიფოს როლის და პასუხისმგებლობის ზრდა შეიძლება წარმოადგენდეს „დიდი ფარმა“-ს მიერ

PUBLIC PHARMA FOR EUROPE

სისტემის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ და ადამიანების ჯანმრთელობის უკეთესად დაცვისკენ გადადგმულ ნაბიჯს.

კოალიციის თანახმად, „საჯარო ფარმაცია“ გულისხმობს ინფრასტრუქტურას, პოლიტიკასა და მართვის მექანიზმებს, რომელიც ზემოთხსენებულ მიზნებს ემსახურება. ეს მოიაზრებს ისეთ ინსტიტუციურ მოწყობას, სადაც მთავრობებს გადაწყვეტილების მიღების ჭეშმარიტი უფლებამოსილება ექნებათ და შეეძლებათ საქმიანობა მართონ მხოლოდ საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. ის არ გულისხმობს ისეთ მმართველობას, რომელიც საჯარო რესურსებს, იქნება ეს ადამიანური თუ ფინანსური, კერძო მეწარმისათვის რისკების შესამცირებლად იყენებს.

„ჩვენ ვთვლით, რომ საჯარო ფარმაციის როლი მხოლოდ წამლის წარმოების საწყისი ეტაპების, გადაუდებელი აუცილებლობის თუ კონკრეტული დაავადებების კატეგორიებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. მთავრობებმა საკუთარ თავზე უნდა აიღონ მოვალეობა და ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის გაუმჯობესებას არა მხოლოდ ცალკეული კერძო კომპანიებისთვის რისკების შემცირებით, არამედ, ჯანდაცვის ტექნოლოგიების კვლევების, შემუშავების, წარმოებისა და დისტრიბუციის ნაწილში წამყვანი როლის საკუთარ თავზე აღებით, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირებისთვის.“, ამბობს სახალხო ჯანმრთელობის მოძრაობის (PHM) პროექტის კოორდინატორი და კოალიციის წევრი, ალან როსი სილვა.

ამ მიზნის მისაღწევად, კოალიცია სხვადასხვა მიდგომებს ეყრდნობა, მათ შორის ეწევა საზოგადოების ყველა სექტორში ცნობიერების ამაღლებას, აწარმოებს კოლექტიური პოლიტიკური ძალის მობილიზებას და წარადგენს კონკრეტულ წინადადებებს. ყველაფერი ეს კი ევროპაში „საჯარო ფარმაციის“ საფუძველის ჩაყრას და მის ზრდა-განვიათრებას ემსახურება.

საკონტაქტო პირი 1: contact@publicpharmaforeurope.org

საკონტაქტო პირი 2: სოპიკო ჯაფარიძე (სახალხო ჯანდაცვის მოძრაობა) - საქართველო
მეილი: sopikoj@gmail.com

საკონტაქტო პირი 3: ალან როსი სილვა (სახალხო ჯანმრთელობის მოძრაობა)

მეილი: alan.silva@tutanota.com

სოციალური მედია:

instagram.com/publicpharmaforeurope
http://twitter.com/publicpharma4eu/
https://mastodon.social/@publicpharmaforeurope

PUBLIC PHARMA FOR EUROPE

https://www.linkedin.com/company/public-pharma-for-europe/